დანართი 1

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2023 წლის ---- ოქტომბრის
N---------- ბრძანებით

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „სპორტის განვითარების ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის „ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა", ღონისძიების „წლის სპორსტმენი“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გთვალისწინებული პროგრამის „სპორტის განვითარების ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის „ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა", ღონისძიების „წლის სპორტსმენი“ (შემდგომში - ღონისძიება) ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობებს, ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, კომპენტენციებს, მხარეთა ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს.

2. ღონისძიება ითვალისწინებს მუნიციპალური სპორტული კლუბების, წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელების და გუნდების/კლუბების, რომლებმაც მიმდინარე წელს მიაღწიეს მნიშვნელოვან, განსაკუთრებულ და გამორჩეულ სპორტულ წარმატებებს, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ. ასევე, იმ პირთა გამოვლენას, ვინც ღვაწლი გასწია, დამსახურება გააჩნია, თუ პირადი წვლილი შეიტანა სპორტის/ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება - პოპულარიზაცია - განვითარებაში, გამოვლენა - დაჯილდოებას, კონკურსის წესით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - კომისია) რეკომენდაციის გათვალისწინებით/საფუძველზე, მერის ბრძანებით.

3. დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალის ორგანიზება ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს, არაუმეტეს 14 000 ლარისა.

4. ფულადი ჯილდოს სახით გასაცემი თანხის საერთო ოდენობა შეადგენს: ღონისძიების ჩატარებისათვის, ბიუჯეტით გათვალისწინებულ მთლიან ასიგნებას (35 000 ლარი), მინუს - შემდგარი ელექტრონული შესყიდვის შედეგად, ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა - დარჩენილი ფულადი ოდენობა (დამრგვალებული), არანაკლებ - 21 000 ლარისა.

მუხლი 2. მიზანი და ამოცანები

1. ღონისძიების მიზანია - წარმატებული სპოტრსმენების, მწვრთნელების, კლუბების წახალისება და სტიმულირება, სპორტის პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობა, მხარდაჭერა.

2. ღონისძიება ითვალისწინებს:

2.1 მუნიციპალური სპორტული კლუბების წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელების და გუნდების/კლუბების გამოვლენა - დაჯილდოებას, რომლებმაც

მიმდინარე წელს მიაღწიეს მნიშვნელოვან, განსაკუთრებულ და გამორჩეულ სპორტულ წარმატებებს, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ;

2.2 იმ პირთა გამოვლენას, ვინც ღვაწლი გასწია, დამსახურება გააჩნია, თუ პირადი წვლილი შეიტანა სპორტის/ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასა და განვითარებაში;

2.3 მიმდინარე წლის დეკემბერში - დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალის გამართვას.

მუხლი 3. ნომინაციები და დაწესებული პრიზები

1. კონკურსში გამარჯვებულ თითოეულ პირზე, დაწესებულია შემდეგი სახის ჯილდო (საჩუქარი/ჯილდო. შემდგომში - ჯილდო):
   - პრიზი - მერიის მიერ დაწესებული მთავარი ან სპეციალური პრიზი;
   - სიგელი - ჩარჩოში ჩასმული, სუბლიმაციურ ფირფიტაზე ან ქაღალდზე (A4) აღბეჭდილი აღიარების/დამსახურების მოწმობა;
   - ფულადი ჯილდო (ერთჯერადი გასაცემელის სახით);
   - ვაუჩერი (სასაჩუქრე) - 100 ლარის ექვივალენტის ნომინალი/ფასიანი ქაღალდი, რომელიც იძლევა მომსახურების/საქონლის მიღების უფლებას (ჰიპერმარკეტში).
2. კონკურსში გამარჯვებულ თითოეულ პირზე გასაცემ ჯილდოს (რომელიმე ერთს ან რამდენიმეს) და ფულადი ჯილდოს ოდენობას განსაზღვრავს კომისია.
3. ღონისძიების ნომინაციები:

3.1 **„წლის სპორტსმენი“** - მიმდინარე წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენი, რომელმაც მ.წ. მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატება და დაიმსახურა განსაკუთრებული აღიარება.
ორი გამარჯვებული (ქალი და მამაკაცი). თითოეულს გადაეცემა ჯილდო;

3.2 **„წლის მწვრთნელი“** - მიმდინარე წლის ყველაზე წარმატებული მწვრთნელი, რომელმაც თავის აღსაზრდელთან (ან გუნდთან) ერთად, მ.წ. მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას და დაიმსახურა განსაკუთრებული აღიარება.
ორი გამარჯვებული (ქალი და მამაკაცი). თითოეულს გადაეცემა ჯილდო;

3.3 **„წლის გუნდი“** - მიმდინარე წლის ყველაზე წარმატებული გუნდი, რომელმაც მ.წ. მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატება და დაიმსახურა განსაკუთრებული აღიარება.
გამარჯვებული გუნდის წევრებს გადაეცემათ: სიგელი (გუნდს) და ფულადი ჯილდოები გუნდის თითოეულ წევრს (მ.შ. მწვრთნელები/ექიმი);

3.4 **„წლის დებიუტანტი“** - მიმდინარე წლის ახალგაზრდა სპორტსმენი - დებიუტანტი, რომელმაც მ.წ. მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატება და დაიმსახურა განსაკუთრებული აღიარება.
ორი გამარჯვებული (ქალი და მამაკაცი). თითოეულს გადაეცემა ჯილდო;

3.5 **„წლის ვეტერანი“** - მიმდინარე წლის მოქმედი ვეტერანი (35 +), რომელიც რეგისტრირებულია ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რომელმაც მ.წ. მოიპოვა წარმატება ან/და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალაქის სპორტული ცხოვრების პოპულარიზაციაში, ემსახურება ქალაქში ჯანსაღი ცხოვრების წესის, ფასეულობებისა და ღირებულებების დამკვიდრებას და დაიმსახურა განსაკუთრებული აღიარება.
ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული. თითოეულს გადაეცემა ჯილდო;

3.6 **„სპორტული კლუბი - კარგი მმართველობა“** - მიმდინარე წლის ყველაზე წარმატებული სპორტული კლუბი, რომელიც გამორჩეულია კარგი მართვა - ადმინისტრირებით, მიზან- მიმართული და გააზრებული, თანმიმდევრული, შედეგიანი და ეფექტიანი საქმიანობით, კლუბის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის სწორი შეფასებებით და გათვლებით, ფინანსური დივიდენდების დაგეგმვის პერსპექტივით თუ სხვა ნებისმიერი სარგებლის მიღების თვალსაზრისით, რეალური შესაძლებლობებით -

მიღწევადი სამიზნეებით.

ერთი გამარჯვებული. გადაეცემა სიგელი.

3.7 **„წლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი“** - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების (საჯარო/კერძო), უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ყველაზე გამორჩეული პედაგოგი, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით, სკოლის, უმაღლესი, პროფესიული სასწავლებლის გუნდმა/აღზრდილმა, მ.წ. მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატება ან/და განსაკუთრებული, გამორჩეული ღვაწლით, ემსახურება მოსწავლეთა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და დაიმსახურა აღიარება.

არაუმეტეს ხუთი გამარჯვებულისა. თითოეულს გადაეცემა ჯილდო;

3.8 **„წლის სპორტული ჟურნალისტი“** - მიმდინარე წლის ყველაზე წარმატებული ჟურნალისტი, რომელ- მაც მ.წ. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალაქის სპორტული ცხოვრების პოპულარი- ზაციაში და დაიმსახურა განსაკუთრებული აღიარება.

ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული. თითოეულს გადაეცემა ჯილდო;

3.9 **„სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“** - ქველმოქმედი / სპონსორი / მხარდამჭერი, რომელმაც პირადი და განსაკუთრებული წვლილი (ფინანსური თუ არაფინანსური სახით) შეიტანა სპორტის განვითარებაში, ემსახურება ქალაქში ჯანსაღი ცხოვრების წესის, ფასეულობებისა და ღირებულებების დამკვიდრებას და დაიმსახურა აღიარება.

ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული. თითოეულს გადაეცემა სიგელი;

3.10 **„სპორტის მოამაგე“** - აქტიური ფიზიკური პირი (60 +), რომელიც არის ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევარი ან/და ემსახურება სპორტული ფასეულობებისა და ღირებულებების დამკვიდრებას, პოპულარიზაციას და დაიმსახურა განსაკუთრებული აღიარება.

არაუმეტეს ხუთი გამარჯვებულისა. თითოეულს გადაეცემა ჯილდო;

4. დასაშვებია, კომისიის გადაწყვეტილებისამებრ, ნებისმიერ ზემოხსენებულ ნომინაციაში წარდგენილ პირს (შემდგომში - ნომინანტი), რომელმაც ვერ გაიმარჯვა დასახელებულ ნომინაციებში და იმსახურებს აღიარებას, გაეწიოს რეკომენდაცია - დაწესდეს/მიენიჭოს სპეციალური ტიტული და გადაეცეს ჯილდო, რაც აისახება კომისიის სხდომის ოქმში და წარედგინება მერს.

მუხლი 4. ავტორიზაცია

1. ნომინანტის წამოყენების უფლება აქვს:

1.1 ქ. ბათუმის მუნიციპალურ სპორტულ კლუბებს;

1.2 ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ „სპორტულ ცენტრს“;

1.3 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ბათუმის რესურსცენტრს ან/და საჯარო/კერძო სკოლებს;

1.4 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ფინანსირებად სპორტულ ფედერაციებს.

2. ერთი ნომინანტი შეიძლება წარდგენილი იყოს სხვადასხვა ნომინაციაზე, მაგრამ არაუმეტეს 3-სა. ფორმატი: ერთი განაცხადი - ერთი პიროვნება - ერთი ნომინაცია.

3. რამდენიმე ნომინანტის წარდგენის შემთხვევაში, თითოეულ ნომინანტზე ივსება ახალი განაცხადი. ფორმატი: ერთი განაცხადი - ერთი ნომინანტი - ერთი ნომინაცია.

4. ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა, უფლებამოსილმა პირმა (შემდგომში - აპლიკანტი), ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებაში (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.N25) უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

4.1 შევსებული განაცხადი (დანართი 2);

4.2 ბიოგრაფიული მონაცემები;

4.3 ფოტოსურათი (ერთი ცალი);

4.4 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის - მოწმობის ასლი;

4.5 თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, კანონიერი წარმომადგენლის (დედის ან მამის) პირადობის მოწმობის ასლი და განმცხადებლის დაბადების მოწმობის ასლი;

4.6 სარეკომენდაციო წერილი (სამუშაო ადგილიდან, მხოლოდ ნომინაციაზე „წლის სპორტული ჟურნალისტი“);

4.7 ნომინანტის ღირსების, ღვაწლისა და დამსახურების ამსახველი დოკუმენტური და სხვა სახის თანდართული აუდიო/ვიდეო მასალა, საბუთები (მათი არსებობის შემთხვევაში);

4.8 სასურველია, ნომინანტის წარდგინება - ვიდეო რგოლის ფორმატში (თანდართული CD დისკზე ან გადმოგზავნილი ელფოსტაზე). ხანგრძლივობა - ერთ წუთის ფარგლებში. ძირითადი ბიოგრაფიული მონაცემები ან/და პროფესიული მიღწევები და წარმატებები - სამეცნიერო, კულტურული, სპორტული და ა.შ. ნებისმიერი. ასევე, დასაშვებია - ჰობი, მიზანი ან სხვა, ნომინანტის შეხედულებისამებრ. ამასთან, მერიას აქვს უფლება, საჭიროების შემთხვევაში ვიდეო რგოლის გამოყენებისა / ატვირთვისა;

5. დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე, (ბეჭდური სახით - Microsoft Word Document / Sylfaen), ხოლო უცხო ენაზე წარმოსადგენი დოკუმენტი სასურველია იყოს ნათარგმნი ქართულ ენაზე და ნოტარიულად დამოწმებული.

6. აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს.

7. მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია;

8. თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, საქმისწარმოება განხორციელდება კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. კონკურსის ეტაპები

1. პირველი ეტაპი - დოკუმენტაციის შესწავლა.

2. აპლიკანტის მიერ წარდგენილი განაცხადი, ამ დებულებით გათვალისწინებულ, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ეგზავნება, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს (შემდგომში - სამსახური), რომელიც შემდგომი რეაგირების (მოკვლევის პროცედურა, საბუთების შესწავლა, შესაბამისობის დადგენა) მიზნით, გადაეცემა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება).

3. განყოფილება:

3.1 უზრუნველყოფს წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავებას და რეესტრში შეყვანას;

3.2 შეისწავლის განაცხადს და არასრული დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, აპლიკანტს წერილობით აცნობებს ხარვეზის გამოსწორების თაობაზე. ასევე, განხორციელდება კომუნიკაცია, განაცხადში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით (სწრაფი რეაგირების მიზნით, ელფოსტით ან/და მობილურ ტელეფონზე SMS შეტყობინების სახით), რათა ოპერატიულად მოახდინოს დოკუმენტაციის მოწესრიგება 5 სამუშაო დღის ვადაში;

3.3 განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში - განაცხადი კომისიაზე არ განიხილება;

3.4 თუ დოკუმენტაცია შეესაბამება წინამდებარე დებულებით დადგენილ მოთხოვნებს - მასალებს წარუდგენს კომისიის წევრებს;

3.5 ამზადებს მოხსენებით ბარათს (კომისიის თავმჯდომარის სახელზე) წარმოდგენილი დოკუმენტაციის, წინამდებარე დებულებასთან შესაბამისობის თაობაზე.

4. მეორე ეტაპი ითვალისწინებს განაცხადების განხილვას კომისიური წესით (დასაშვებია ელექტრონული ფორმატი), მათ შორის კომისიის სხდომაზე, აპლიკანტის მოწვევას (საჭიროების შემთხვევაში).

მუხლი 6. განაცხადების მიღებისა და განხილვის ვადები

1. განაცხადების მიღება იწარმოებს აღნიშნული წესის დამტკიცების დღიდან, მიმდინარე წლის 9 დეკემბრამდე.
2. კომისია შემოსულ განაცხადებს განიხილავს 2023 წლის 16 დეკემბრამდე.
3. გადაწყვეტილების მიღება ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

მუხლი 7. სამუშაო ჯგუფის - კომისიის უფლებამოსილებები

1. **კომისია:**
   1.1. თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე წესით;
   1.2. ანგარიშვალდებულია მერის წინაშე;
   1.3. ამტკიცებს იმ განაცხადთა სიას, რომლებიც არ შეესაბამება ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;
   1.4. განიხილავს განაცხადებს, აკეთებს შეფასებებს, გამოავლენს გამარჯვებულებს თითო-ეული ნომინაციის მიხედვით და გასცემს რეკომენდაციებს;
   1.5. უფლებამოსილია, ამა თუ იმ ნომინაციაზე წარდგენილი ნომინანტი, აპლიკანტთან შეთანხმებით, წერილობითი თანხმობით (დაზუსტება/კორექტირება), განიხილოს იმ ნომინაციაზე, რომელიც გაცილებით უფრო მეტად მიესადაგება მის მონაცემებს.
   1.6. განსაზღვრავს, გამარჯვებულ პირებზე გასაცემი ფულადი ჯილდოების ოდენობას;
   1.7. უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

2. კომისიის წევრთა რაოდენობა და სიითი შემადგენლობა განისაზღვრება მერის ბრძანებით;

3. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

4. კომისიის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი.

5. საჭიროებიდან გამომდინარე (საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე), კომისიის სხდომა შეიძლება გადაიდოს ან ჩატარდეს დამატებით;

6. კომისიის თავმჯდომარე:

   6.1. წარმართავს კომისიის საერთო ხელმძღვანელობას, ანაწილებს ფუნქციებს და დავალებებს კომისიის წევრთა შორის. ასევე, უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას;
   6.2. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მერს წარუდგენს მოხსენებით ბარათს განხილვის შედეგების შესახებ (ბრძანების პროექტთან ერთად).

7. **კომისიის მდივანი:**
   7.1. ახორციელებს განაცხადების შესწავლა-დამუშავებას და რეესტრში შეყვანას. ასევე, კომისიის სხდომის ორგანიზებას, საოქმო ჩანაწერების უზრუნველყოფას და სხვა ორგანიზაციული საკითხების აღსრულებას;
   7.2. კომისიას მოახსენებს/გააცნობს ინფორმაციას თითოეულ ნომინანტზე, თითოეული ნომინაციის მიხედვით;
   7.3. კომისიის წევრთა მიერ, განხორციელებული შეფასების შედეგად დაგროვილი ქულების დაჯამებით, ახდენს საბოლოო შედეგების გამოვლენას;
   7.4. აფორმებს კომისიის გადაწყვეტილებას (საბოლოო შედეგებთან მიმართებაში) ოქმის

სახით, კომისიის სხდომის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. ასევე, აუცილებელია ოქმში დაფიქსირებული სიტყვით გამომსვლელ(ებ)ის ხელმოწერა, მის მიერ წარმოთქმული სიტყვის / ტექსტის სისწორის დადასტურებასთან მიმართებაში ან/და მის მიერ გადმოგზავნილი კომენტარ(ებ)ი, რომელიც ოქმს თან ერთვის;

7.5. ამზადებს მოხსენებით ბარათს კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და გამარჯვებულ პირთა/სუბიექტთა დაფინანსების თაობაზე (ბრძანების პროექტთან ერთად), მერთან წარსადგენად.

8. კომისიის წევრი:

8.1. შეისწავლის განაცხადს, გამოთქვამს თავის მოსაზრებებს (ზეპირსიტყვიერად ან/და წერილობით) და ახდენს შეფასებას;

8.2. გადაწყვეტილებებს იღებს დამოუკიდებლად.

9. კომისიის თითოეული წევრის მიერ განხორციელებული შეფასებები კონფიდენციალურია და განკუთვნილია მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის;

მუხლი 8. შეფასების კრიტერიუმები

საკონკურსო განაცხადის შეფასება ხდება 0 – 10 ქულის ფარგლებში, ბრძანების დანართი 3-ში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

მუხლი 9. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საბოლოო შედეგები განისაზღვრება კომისიის თითოეული წევრის მიერ, წარდგენილი ნომინანტების (თითოეული ნომინაციის მიხედვით) შეფასების შედეგად, დაგროვილი ქულების დაჯამებით.

2. რეკომენდაცია გაეწევა იმ პირებს/სუბიექტებს, რომლებიც მიიღებენ ყველაზე მეტ ქულას, თითოეული ნომინაციის მიხედვით.

3. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის პოზიცია.

4. გადაწყვეტილების მიღება ხდება მერის ბრძანებით.

მუხლი 10. დაჯილდოების ცერემონიალი

1. დაჯილდოების ცერემონიალის გამართვის მიზანია - ქალაქის საზოგადოებასთან ერთად, საზეიმოდ აღნიშნოს - დააჯილდოოს მიმდინარე წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენები, მწვრთნელები, გუნდი/კლუბი, ვინც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქალაქ ბათუმის / რეგიონის / ქვეყნის წარმოჩენა - აღიარებაში, სპორტის განვითარება - პოპულარიზაციაში.

2. როგორც წესი, დაჯილდოების ცერემონიალი იმართება მიმდინარე წლის დეკემბრის თვის ბოლოს, ხოლო დამაბრკოლებელ პირობებში (პანდემია ან სხვა) - გარემოებების გათვალისწინებით.

3. დაჯილდოების ცერემონიალის ლოკაციას, ფორმატს და სხვა ორგანიზაციული საკითხების დაგეგმვა - განხორციელებას, უზრუნველყოფს სამსახური.

მუხლი 11. ანგარიშსწორების წესი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის წერილობითი მიმართვის და მერის ბრძანების საფუძველზე, გასცემს ფულად ჯილდოებს (ერთჯერადი გასაცემლის სახით).